

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება

ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა

რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა და თეზისები

30 მაისი, 2024

## პ რ ო გ რ ა მ ა

11:00 – ნატალია ზუმბაძე (კონფერენციის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

კონფერენციის გახსნა

11:15 – ეკატერინე ყაზარაშვილი

ქრისტეშობის გამშვენებული საგალობლები გელათის სკოლის სამგალობლო ტრადიციაში

11:45 – რეზი წიტიშვილი

ქრომატიული ფანდური – საქართველოს კულტურული კეთილშენადენი

12:15 – ლელა ურუშაძე

ტრადიციული სიმღერა-გალობის სწავლების მეთოდები ბავშვთა ანსამბლებში

12:45 – მონაზონი ნინო (სამხარაძე)

ვნების პარასკევის ცისკრის საგალობელთა ქართულ-სლავური პარალელები

## 13:15-14:00 – შესვენება

14:00 – ნია ღამბაშიძე

ძლისპირ „უპატოსნესას“ შესაძლო არქექტიპის შესახებ (მველი ქართული ხელნაწერების მიხედვით)

14:30 – ანა ლოლაშვილი

კახური ხალხური მუსიკის შესწავლისათვის (ქიზიყური მასალის მიხედვით)

15:00 – ზურაბ წკრიალაშვილი

გიორგი სვანიძის ერთი ექსპედიციის შესახებ

## თეზისები

### ეკატერინე ყაზარაშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,  
სადოქტორო პროგრამა *მუსიკოლოგიური კვლევები*, სპეციალობა *საეკლესიო მუსიკოლოგია*.

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე.

### **ქრისტეშობის გამშვენებული საგალობლები გელათის სკოლის სამგალობლო ტრადიციაში**

ქრისტეშობის დღესასწაული ძალზე მრავალფეროვან სამგალობლო რეპერტუარს მოიცავს. სადღესასწაულო ღამისთვის მსახურება შედგება ოთხი დიდი მონაკვეთისაგან: სამეუფეო ჟამი, მწუხრი, ცისკარი და წირვა. თითოეული მონაკვეთი დღესასწაულისადმი მიძღვნილ ჰიმნებს შეიცავს. აღნიშნული დღესასწაულის საგალობლები სამივე სამგალობლო სკოლის ნიმუშების სახით დღემდე არის შემონახული. ეს სანოტო და აუდიოჩანაწერები ასახავს იმ პერიოდს, როდესაც მსახურება ტიპიკონის სრული დაცვით გალობით აღესრულებოდა.

ქართულ სამგალობლო ტრადიციაში შობის საგალობლების არაერთი ვარიანტია შემონახული. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გელათის სკოლის ტრადიციაში ქრისტეშობის მსახურების ყველა საგალობელი ნოტირებულია. ქრისტეშობის მსახურების შემცველ 27 სანოტო წყაროში სულ ფიქსირდება 229 საგალობელი, რომელიც მოიცავს როგორც სადა, ისე ნამდვილი და გამშვენებული კილოს ნიმუშებს. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ განსხვავებულ საგალობელთა რაოდენობა 176-ია. ნოტირებულ საგალობელთა ფონდში ყველაზე დიდი ადგილი ნამდვილი, ანუ ჭეშმარიტი კილოს ნიმუშებს უკავია, ხოლო გამშვენებულ საგალობელთა რაოდენობა 32-ს შეადგენს. გამშვენებული საგალობლების უმეტესობა ძლისპირია. მათგან 20 საცისკრო კანონს მიეკუთვნება.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ქრისტეშობის მსახურების გამშვენებულ საგალობლებზე. აღნიშნულია მათი ფუნქცია და როლი სადღესასწაულო ღვთისმსახურებაში, გამოვლენილია გამშვენების ხერხები და მათი ნაირგვარობა სხვადასხვა ჟანრის საგალობლებში.

## რეზი წიტიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საბაკალავრო პროგრამა *მუსიკა* (ძირითადი სპეციალობა).

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თამაზ გაბისონია.

### ქრომატიული ფანდური – საქართველოს კულტურული კეთილშენაძენი

ჩემი მოხსენების თემაა ტემპერირებული, ე.წ. კლასიკური ფანდური, როგორც მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა საქართველოს ეთნომუსიკაში. ეს საკრავი, ძირითადად აკადემიურ საზოგადოებაში, ხშირად პრობლემატურად აღიქმება, რაც ალბათ ტრადიციული, ხალხური ფანდურის დათრგუნვასა და ძველი ჩვეულების დარღვევაში გამოიხატება. ვფიქრობ, ქრომატიული ფანდურის პოპულარიზაცია არ შეიძლება გულისხმობდეს ტრადიციის რელსებიდან გადახვევას. ამავე დროს, ქრომატიული ფანდური საკმაოდ პოპულარულია თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩანს, რომ იგი ხშირ შემთხვევაში უფრო გავრცელებულია, ვიდრე ხალხური ფანდური. აქედან გამომდინარე, ჩემი ცოდნის ფარგლებში, ქრომატიული ფანდურის რაობასა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით, ვეცდები ვიმსჯელო ამ საკითხზე ესთეტიკის, ტრადიციულობისა და განვითარების რაკურსში.

ფანდურმაც, ისევე როგორც ბევრმა მუსიკალურმა საკრავმა, ბუნებრივია, განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში შემორჩა ერთი მთლიანი მორისგან გამოთლილი გრძელი, მართკუთხედის ფორმის მუცლიანი და რამდენიმესაქცევინი ტრადიციული ფანდური. რადგან მთის მხარე უფრო იზოლირებულია, იქაურობა უცხოურ გავლენებსაც მარტივად ირიდებდა, დაბლობისგან განსხვავებით. ამიტომ მთაში უფრო მეტად შემორჩა ტრადიციული, ძველებური ფანდურის ნიმუშები. ბარში კი ფანდურმა დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა – მისი მუცლის კუთხეები მომრგვალდა, შეიცვალა ყელისა და მუცლის თანაფარდობა, დაემატა საქცევებიც და დღეს, XXI საუკუნეში, გვაქვს თანამედროვე, ქრომატიული ფანდური, რომელიც ნაწილობრივ ინარჩუნებს თავისი წინამორბედის იერსახეს და, ამასთან ერთად, იძლევა მეტ შესაძლებლობასაც.

თემაში ყურადღებას ვამახვილებ: ინსტრუმენტის ისტორიაზე, მის აგებულებაზე, წყობებზე, შესრულების ტექნიკებსა და იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც ქრომატიული ფანდური ქრომატიზმის გამო გვაძლევს (აკორდების სხვადასხვა განლაგებაში დაკვრა, სეკვენცია, ტრანსპოზიცია, მოდულაცია, არანჟირება); მიმოვიხილავ ქრომატიულ ფანდურს, როგორც სოლო, ისე თანმხლებ ინსტრუმენტს; ვეხები იმ ჟანრებს, რომელთა შესრულებაც შესაძლებელია ე.წ. კლასიკურ, მაგრამ არა ხალხურ ფანდურზე. აუდიომასალად კი წარმოვადგენ ქრომატიულ ფანდურზე ჩემ მიერ ცოცხლად შესრულებულ ფრაგმენტებს.

**ლელა ურუშაძე**

ხალხური გუნდის ლოტბარი და

საეკლესიო გუნდის მაგალობელ-რეგენტი, მაგისტრი.

მაგალობელ-მომღერალთა ანსამბლ *კირიალესას* ხელმძღვანელი.

### **ტრადიციული სიმღერა-გალობის სწავლების მეთოდები ბავშვთა ანსამბლებში**

სიმღერისა და გალობის სწავლებისას ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, ისინი ბავშვების ცხოვრების ნაწილი გახადოთ, შევაცვაროთ.

მნიშვნელოვანია, თუ რა სასიმღერო რეპერტუარს შევურჩევთ და რამდენად სახალისო იქნება გაკვეთილები ბავშვებისთვის. მათ განსაკუთრებით აინტერესებთ საფერხულო და საცეკვაო-სათამაშო სიმღერები.

სწავლებისას უნდა მოვასმენინოთ ჩანაწერები, რათა გაიგონ, თუ როგორ ჟღერს ესა თუ ის სიმღერა. დამწყებთათვის უმჯობესია ერთხმიანი სიმღერების შესწავლა, დროთა განმავლობაში კი, შეძლებისდაგვარად, ორხმიანისა და სამხმიანის.

სამ ხმაში მღერის უნარ-ჩვევების გამომუშავების შემდეგ დგება შესრულების სტილის, ასევე, ხმების გაორმაგების თუ ტრადიციულად მღერის შერჩევის საკითხი. უპირატესობას ტრადიციული შესრულების წესებს ვანიჭებ, თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

ბავშვთა ანსამბლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ექსპედიციები. კონკრეტული კუთხის გაცნობა, იმ გარემოში რამდენიმე დღე ცხოვრება, ეთნოფორებთან შეხვედრა და ა.შ. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე.

რაც შეეხება გალობის სწავლებას, აქ სხვა სირთულეებთან გვაქვს საქმე. ჩემი გამოცდილებით, საწყის საფეხურზე ბავშვი არ უნდა გადავღალოთ საგალობლებით, რადგან, შესაძლოა, მობეზრდეს და მათი შესწავლა აღარ მოისურვოს.

**მონაზონი ნინო (სამხარაძე)**

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,  
სადოქტორო პროგრამა *მუსიკოლოგიური კვლევები*, სპეციალობა *საკლესიო მუსიკოლოგია*.  
ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე.

### **ვნების პარასკევის ცისკრის საგალობელთა ქართულ-სლავური პარალელები**

წმიდა ორმოცეული დიდი მარხვის გვირგვინი ვნების შვიდეულია, შვიდეულის გვირგვინი – დიდი პარასკევი. ამ დღის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა სიღრმისეულად არის გადმოცემული საღვთისმსახურო ტექსტებსა და მათზე შეფარდებულ მუსიკალურ ჰანგებში. იმ სამი ძირითადი მსახურებიდან, რომელიც ვნების პარასკევს სრულდება, თავისი შემადგენლობით, სტრუქტურითა და მუსიკალური გადაწყვეტით განსაკუთრებულია ცისკარი. მსახურების პირველ ნაწილში სრულდება 15 ანტიფონი და „მომიხსენენი“, რომელიც ქართულ მუსიკისმცოდნეობაში „შეხვეტილიანის“ სახელით არის ცნობილი, მეორე ნაწილი კი მოიცავს ცისკრის სტანდარტულ სამსაგალობლის ციკლსა და „აქებდით-ადვივსენითის“ დასდებლებს.

ვნების პარასკევის ცისკარმა ორიგინალურ ბერძნულ ტრადიციაში ჩამოყალიბებული სახე X ს-ის 40-იან წლებში მიიღო. მსახურება მალევე, X ს-ის 80-იან წლებში ქართულად თარგმნა წმიდა ექვთიმე ათონელმა, ხმების მითითების გარეშე. მუსიკალური ჰანგები მიუთითა და მსახურება განკვეთილობის ნიშნებით გამართა წმიდა გიორგი მთაწმინდელმა, რაც ასახულია მის მიერ შედგენილ მარხვანში (Ath. 38). საბოლოო რევიზია ვნების პარასკევის ცისკარმა XVIII ს-ში განიცადა, როდესაც იგი სლავური ტიპიკონის მიხედვით შეასწორა ანტონ კათალიკოსმა.

ქართულ ტრადიციაში სლავური ტიპიკონის ზეგავლენის დასადგენად წინამდებარე მოხსენებაში განხილულია ქართული და სლავური ლიტურგიკული პრაქტიკის

ურთიერთმიმართება. შედარებითი ანალიზი განხორციელდა ვნების პარასკევის ცისკრის 93 საგალობლის ფარგლებში. ტრადიციათა შორის არსებული კავშირების განხილვა ტექსტუალური, ტიპიკონური და ჟანრულ-მუსიკალური ასპექტების დონეზე მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ტრადიციის მახასიათებლების წარმოსაჩენად ერთი მთლიანი ზოგადქრისტიანული მოვლენის ჭრილში.

## ნია ღამბაშიძე

გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი,  
სამაგისტრო პროგრამა *საეკლესიო მუსიკათმცოდნეობა*.  
ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ეკატერინე ონიანი.

### ძლისპირ „უპატოსნესას“ შესაძლო არქეტიპის შესახებ

#### (ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით)

„უპატოსნესას“, რომელიც, გადმოცემის თანახმად, შექმნილია დიდი მელოდოსის, კოზმა იერუსალიმელის მიერ, როგორც დიდი პარასკევის სამსაგალობლის ძლისპირი, ფართო ინტერესის საგანია საეკლესიო მუსიკის მკვლევართა შორის. ასეთი განსაკუთრებული ყურადღება განპირობებულია იმით, რომ ძლისპირი იქცა არა მარტო სამსაგალობლის, არამედ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ორი გამორჩეული საგალობლის ნაწილად.

ამჯერად ჩემი დაკვირვების საგანია ძლისპირი „რომელი უმაღლეს ხარ“, რომელიც გვხვდება უძველეს ქართულ ნევემირებულ ირმოლოგიონში – იორდანეს ძლისპირთა კრებულში (X-XI სს.). შესაძლოა, იგი „უპატოსნესას“ არქაულ წინასახეს წარმოადგენდეს. ეს ნიმუში თავისი შინაარსით „უპატოსნესას“ მსგავსია, თუმცა ტექსტობრივად განსხვავებული. სავარაუდოა, რომ იმ დროის ქართული ღვთისმსახურება სწორედ ამ ფორმით იცნობდა ძლისპირ „უპატოსნესას“, რომელიც ჩვენთვის ცნობილი სახით მხოლოდ გვიანდელ ხელნაწერებში გვხვდება და მის პირვანდელ ვარიანტს ანაცვლებს.

ბერძნული დედნის არარსებობის გამო ძნელია დარწმუნებით ვთქვათ, ჰქონდა თუ არა ზუსტი ბერძნული შესატყვისი ძლისპირს „რომელი უმაღლეს ხარ“, თუ იგი „უპატოსნესას“ ერთ-ერთი ვარიანტი, მისი თავისუფალი თარგმანია. შესაძლებელია, ძლისპირმა „რომელი

უმალეს ხარ“ თავად ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების პროცესში განიცადა რეკონსტრუქცია და მისი დედანი სწორედ ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახა. საგულისხმოა, რომ მე-19 საუკუნის ნოტირებულ ხელნაწერებში (წმ. ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი Q-689) ორივე ნიმუში გვხვდება.

## **ანა ლოლაშვილი**

სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი

ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,

საბაკალავრო პროგრამა *საშემსრულებლო ხელოვნება,*

*სპეციალობა აკადემიური გუნდის დირიჟორობა.*

### **კახური ხალხური მუსიკის შესწავლისათვის (ქიზიყური მასალის მიხედვით)**

მოხსენებაში მიმოხილულია ქიზიყის, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის, ისტორიული პერიოდიზაცია და მნიშვნელობა, ამ მხარეში დავიწყებული და დღემდე შემორჩენილი ეთნოგრაფიული ყოფა. ქიზიყის სხვადასხვა სოფელში ჩაწერილი სანოტო და ხმოვანი ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ კახური სიმღერების ქიზიყურ ვარიანტებზე.

ნაშრომში წარმოდგენილია ქიზიყური მუსიკალური მასალის ანალიზი, რომელიც ეყრდნობა ანდრია ბენაშვილის, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის, დიმიტრი არაყიშვილის, ოთარ ჩიჯავაძისა და თამარ მამალაძის მიერ ამ მხარეში ჩატარებულ ექსპედიციებს; ნაჩვენებია მსგავსება და განსხვავება კახეთის სხვადასხვა მხარეში ჩაწერილი ერთი და იმავე სიმღერების ვარიანტებს შორის.

ჩვენ მიერ თავმოყრილი მუსიკალური მასალა მნიშვნელოვანია იმით, რომ ქიზიყური ვარიანტების წარმოჩენას აქამდე არ მიქცევია სპეციალური ყურადღება.

## **ზურაბ წკრიალაშვილი**

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრი საეკლესიო მუსიკაში.



ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის  
გორის სალოტბარო სკოლის ლოტბარი.

### **გიორგი სვანიძის ერთი ექსპედიციის შესახებ**

ქართლის ფოლკლორით და ქართლში ჩატარებული საექსპედიციო მასალებით ბოლო პერიოდში აქტიურად დაინტერესდნენ დარგის სპეციალისტები. 2021 წელს გამოიცა კრებული „ქართლური ხალხური სიმღერები. გიორგი სვანიძე“. ფოლკლორის ცნობილმა შემკრებმა გიორგი სვანიძემ შიდა ქართლში სხვადასხვა წელს (1922, 1939) ორი ექსპედიცია განახორციელა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საექსპედიციო მასალებში არაერთი საინტერესო და საყურადღებო ცნობა გვხვდება. სვანიძის მიერ ქართლში ჩატარებული ექსპედიციების მასალები ინახავს საქართველოს ამ რეგიონში XX ს-მდე შემონახულ, ხალხური სიმღერის ცოცხალ ტრადიციას. ახალგაზრდა მკვლევრებისა და შემსრულებლებისათვის ეს მასალები ფასდაუდებელია.

როგორც შიდა ქართლის მკვიდრი და მუსიკოს-შემსრულებელი, რამდენიმე წელია დავინტერესდი აღნიშნული საექსპედიციო ჩანაწერების შესწავლით და ფოლკლორული ნიმუშების ანსამბლში აჟღერებით. არქივის გაცნობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ქალაქ გორში 1939 წელს ჩატარებულმა ექსპედიციამ, რომელშიც ხიდისთაველი ეთნოფორი ვანო ტლაშაძე იხსენებს სიმღერა „ჩაკრულოს“ ისტორიას. ეს არის „ჩაკრულოს“ ერთ-ერთი უცნობი ქართლური ვარიანტი.

მოხსენებაში თავმოყრილია ორივე ექსპედიციის ცნობები „ჩაკრულოს“ წარმომავლობის, ისტორიისა და მუსიკალური რაობის შესახებ.

**პროგრამისა და თეზისების შემდგენელ-რედაქტორი: პროფ. ნატალია ზუმბაძე.**